ხუთშაბათი, 28 ივნისი 1907 წ.

49

# ისარი

## ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი პირველი № 139

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები—წერილობით მასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან **5 კაპ.**

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

### „ისარი“-ს ხელის მომწერთა საყურადღებოდ.

«ისარი»-ს კანტორა აცხადებს იმათ საყურადღებოდ, ვისაც ფული არ შემოუტანია, რომ გაზეთის გზავნა მოესპობათ, თუ დროზე არ შემოიტანენ ხვედრ ფულს. პირველ ივლისიდან გაზეთი მოესპობათ: ტფილისში—ვისაც 4 მანეთზე მეტი არ შემოუტანია, ტფილისს გარედ—ვისაც 4 მან. და 50 კ. მეტი.

პირველ ივლისიდან წლის დამლევამდე გაზეთი ღირს: ტფილისში—4 მან. ტფილისს გარედ—4 მ. 50 კ., საზღვარ-გარედ—6 მან.

ერთი თვით გაზეთი ღირს: ტფილისში 75 კაპ., ტფილისს გარედ—80 კაპ., საზღვარ-გარედ—1 მან. 50 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ადრესის გამოცვლა ღირს: ტფილისიდან ტფილისს გარედ ერთი მანეთი, სხვა ადგილას—ორი აბაზი.

21/ნ-65
1

ექიმი
**ა. ნ. დიასამიძე**
**განიზა და ვენერიული.** დილით 9—10 ს. საღამოობით 6—8. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ექიმი
**მ. ს. მუსხელიშვილი**
მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

კბილის ექიმი
**ალ. სოლოლაშვილი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (36)

ექიმი
**ე. მამაკაიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—76)

კბილის ექიმი
**ნინო რცხილაძე**
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—125)

თვალის ექიმი
**ზ. მ. ცხვედაძე**
დორპატის უნივერსიტეტის კლინკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველდღე დილ. 9—1 ს. და საღ. 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—180—3)

**ქუთაისში**
ექიმი მაკიუხოვი.
მიიღებს **შინაგან, სიფილისით, ვენერიულ** ავადმყოფებს და **ბავშვებს. ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი** ნახველისა, შარდისა, გონოკოკისა და სხვ. დილით 11—2 საათზე, საღამოთი 6—8 საათზე. სამხედრო საავადმყოფო, შესავალ პატარა ჭიშკარიდან. (60—ფოს.—32)



**სამუშაო**
მშრომელ ქალებსა და კაცებს ყოველ დღე 8-დან 4 საათამდე შეუძლიანთ აიღონ 1 მ. 50 კ. და მეტიც დღეში, თუ ჩემგან იყიდიან საუცხოვო მსწრაფლ-მქსოვ მაშინებს, რომელთაც საზღვარ-გარედაც დიდი სახელი აქვთ გავარდნილი. ვთხოვ მხოლოდ ყველას, ნუ აურევენ ჩემ მაშინებს სხვა ფირმების მაშინებთან.

ამ მაშინაზე სამუშაოდ წინ და წინვე ცოდნა საჭირო არ არის. მაშინები აქვე გვაქვს. ძაფს მე ვყიდი და დამზადებულ საქონელს ნაღდ ფულად მევე ვყიდულობ აქ. დაწვრილებით ცნობებს სიამოვნებით ვაძლევ ყველას უფასოდ კანტორაში და ვგზავნი ფოსტითაც.

კანტორა მსწრაფლ-მქსოვ მაშინების წარმომადგენლისა კავკასიის და ამიერ-კავკასიისათვის ტფილისში ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ადრესი: **Тифлисъ, Николаевская улица, № 9.** (50—73.—49)

**ახალი წიგნი**
წ.-კ. გ. წიგნის მაღაზიაში იყიდება ისტორიული მონოგრაფია
**„ამბოხება კახეთისა“ 1812 წ.**
ა. ფრონელისა.
ფასი ერთი მანეთი
იქვე იყიდება „მთიულეთი 1804 წ.“ იმავე ავტორისა. (20—უ.—19)

**ლამბაშიძის**
**სანატორიუმი**
პატარა-ცემში
ქალ. ვაჟთათვის 8—16 წლამდე.
პირობების გასაგებად ფოსტით უნდა მიმართონ, ბორჯომს ექიმ ვ. ლამბაშიძეს. (25—111—25)

ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების
**გამომცემი კომისია**
მიმართავს მოწოდებით ყველა იმათ, ვისაც კი რაიმე სახელმძღვანელო აქვს შედგენილი, მიაწოდონ კომისიას ეს სახელმძღვანელოები და აგრეთვე შეატყობინონ თავიანთი პირობები.
კომისიის თავმჯდომარე **ა. მდივანი.**
ადრესი: სათავად-აზნაურო გიმნაზია. (5—6.—2)

გამოვიდა და იყიდება
**ა. საზუელისა**
ახალი წიგნი
სოციალიზმ-ფედერალიზმი საქართველოში.
წიგნი ღირს 20 კ. და იყიდება „წ. კ. გამავრც. საზოგადოების“ და „Новая Рѣчь“-ის მაღაზ. (3—უ.—1)

გორის სავაჟო სახელმწიფო პროგიმნაზია
აცხადებს, რომ მომავალ 1907—8 სამოსწავლო წლიდან იხსნება კლასები: პირველ-დაწყებითი უმცროსი და უფროსი მოსამზადებელი და აგრეთვე პირველი და მეორე ნორმალური. ბავშვების მისაღები არზები მიიღება ჯერ-ჯერობით გორის თვით-მმართველობის კანცელარიაში 20 მარიამობისთვემდის ყოველ დღე (უქმეების გარდა) დილის 8 საა. ნაშუადღევის 1 საათამდე. იქვე შეიძლება მიღება ამისთვის საჭირო ბლანკებისა. თხოვნასთანვე უნდა იყოს წარმოდგენილი ხუთი თუმანი (50 მან ) ფული და მოწმობანი
სრულებით შეუძლებელ მშობელთ, რომელთაც არა აქვთ სახსარი ამ ზემოხსენებულ 50 მან. შემოტანისა, უნდა წარმოადგინონ ამაზე მოწმობა ქალაქის თვითმართველობისაგან, ხოლო თავად აზნაურთ—თავიანთ წინამძღოლისგან და სხვა.

### ტფილისი, 28 ივნისი

რუსთა ბურჟუაზიულ პარტიების ბანაკში დიდი ამბავია ამ ჟამად. „კონსტიტუცია იღუპება“-ო და ამიტომ კონსტიტუციის მომხრე პარტიები უნდა შეერთდნენ მემარჯვენეთა წინააღმდეგ, თორემ უკანასკნელთა გამარჯვება კონსტიტუციის დამარხვა იქნებაო. სხვა და სხვა ლიბერალურ ჯგუფთ და უპარტიო კონსტიტუციონალისტებს დიდი სურვილი აქვთ მოარიგონ და შეაკავშირონ სახელდობრ კა-დეტები და ოქტომბრისტები. ეგრედ წოდებული „დემოკრატიული კავშირი“, შვიდობიან განახლების პარტია, გაზეთ „სლოვო“-ს ჯგუფი, თავ. ევგენი ტრუბეცკოი და სხვანი დაუღალავის ენერგიით ქადაგობენ საკონსტიტუციო ბლოკის შექმნას კა-დეტებისა და ოქტომბრისტებისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაშიო, ამბობენ ისინი, 3 ივნისის საარჩევნო კანონის წყალობით გამარჯვება „ჭეშმარიტ რუსთა“ კავშირს და სხვა „მონარხისტებს“ დარჩებათ, რომელნიც უპირველესად ყოვლისა კონსტიტუციის გაუქმებას შეეცდებიან მესამე სათათბიროშიო. შუაკაცები და მომრიგებელნი კა-დეტებს ურჩევენ—ყოველი კავშირი გასწყვიტეთ მემარცხენეებთანაო, ხოლო ოქტომბრისტებს ამასვე ეუბნებიან მემარჯვენეთა შესახებ. მთავარი იერიში შუაკაცებმა, რასაკვირველია, კადეტების პარტიაზე მიიტანეს, რადგან წინააღმდეგობას ამათგან უფრო მოელიან, ვიდრე ოქტომბრისტებისაგან.

მთელი რუსეთის პრესსა განსაკუთრებით ყურადღებით ადევნებს თვალ-ყურს ამ მოლაპარაკებას და ცდას, რადგან 3 ივნისის კანონმა მართლა განსაკუთრებულს გარემოებაში ჩააყენა რუსეთის „კონსტიტუციის“ საქმე. დემოკრატიული ნაწილი განიდევნა საპარლამენტო ბრძოლიდან და მომავალ სათათბიროს, ადვილად შესაძლებელია, მარტო რეაქციონერები დაეპატრონონ. ასეთს პირობებში მართალია არ იქნებოდა ურიგო საკონსტიტუციო ლიბერალურ პარტიების შეთანხმება, ერთი გარემოება რომ არ იყოს, რომელიც სრულებით უსარგებლოდ ხდის ყოველს ოცნებას საკონსტიტუციო ბლოკის შექმნის შესახებ. ჩვენ ვგულისხმობთ ოქტომბრისტების პარტიას, მის ტაქტიკასა და პოზიციას, მის მოღვაწეობას წარსულში და ამ ჟამად.

„17 ოქტომბრის კავშირმა“ კარგა ხანია და სამართლიანადაც დაჰკარგა ნამდვილ საკონსტიტუციო პარტიის სახელი. კადეტების ერთმა ლიდერმა, არ გვახსოვს რომელმა, მშვენიერად დაახასიათა ეს პარტია, როცა მას „მთავრობის უკანასკნელ განკარგულების პარტიის“ სახელი უწოდა. მართლაც, ეს კავშირი დაარსდა „17 ოქტომბრის მანიფესტის“ განსახორციელებლად“, მაგრამ როცა თვითმპყრობელი ბიუროკრატია გამაგრდა და 17 ოქტომბრის მანიფესტის დაპირებათა წართმევა დაიწყო, პარტიამ, ბრძოლისა და ოპპოზიციის მაგიერ, მხარი მისცა მთავრობას და ამართლებდა ყოველს მისს არა კონსტიტუციონურს ნაბიჯს. პარტიამ მოიწონა პირველ სათათბიროს გარეკა, მოიწონა სამხედრო საველე სასამართლოების დაარსება, მოიწონა სათათბიროს დათხოვნის შემდეგი არა-კონსტიტუციონური საკანონმდებლო მოღვაწეობა მთავრობისა; შემდეგ, როცა მეორე სათათბიროსთვის არჩევნები დაიწყო, კონსტიტუციის მოსისხლე მტერს—„ჭეშმარიტ რუსთა კავშირსაც“—დაუმეგობრდა. მაგრამ ეს კიდევ არაფერი: ამ პარტიამ ძირითადი კანონების დარღვევა და საარჩევნო უფლების არა საკონსტიტუციო გზით შეცვლაც-კი აღიარა „სამწუხარო საჭიროებათ“ და ამგვარად გაამართლა მთავრობის მოქმედება 3 ივნისს. ასეთ პარტიას კონსტიტუციასთან არავითარი კავშირი აღარ აქვს. დასავლეთ ევროპაში ვერც ერთი რეაქციონური პარტიაც კი ვერ ჩასთვლიდა საკონსტიტუციო პარტიად იმ კავშირს, რომელიც ძირითად კანონების ასეთს დარღვევას მოუწონებდა მთავრობას. „17 ოქტომბრის კავშირი“ პირდაპირ მთავრობის ყურმოჭრილი მონაა და კონსტიტუციის მომხრე იმდენადაა სწორედ, რამდენად თვით ბიუროკრატიული მთავრობა. თვითმპყრობელ ბიუროკრატიის საბოლოო განზრახვაა, კონსტიტუცია მხოლოდ ქაღალდზე იყოს დაწერილი, ნამდვილად კი სახელმწიფოს სვე-ბედის გამგებლობა მის ხელთ დარჩეს. ამ განზრახვის განხორციელებისაკენ მიდის მთავრობა საანდათან და მოხერხებულის ნაბიჯით, „17 ოქტომბრის კავშირი“-კი მას ხელს უწყობს იმიტომ გაუადვილა მთავრობამ მესამე სათათბიროში შესვლა ოქტომბრისტებს, რომ იმედი აქვს, ეს პარტია დაჰყვება ნებაზე და რუსეთის პარლამენტს გადააქცევინებს უბრალო სადეკორაციო დაწესებულებად...

განა ასეთ პარტიის მოქცევა საკონსტიტუციო ბლოკში რაიმე სარგებლობას მოუტანს რუსეთის კონსტიტუციას? პირიქით, ეს მავნებელი იქნება რუსეთის მოძრაობისთვის, რადგან, ერთის მხრით ხელს შეუწყობს მთავრობის განზრახვას და მეორეს მხრით, ოპპოზიციას ჩამოაშორებს ისეთ გამოცდილ და ნიჭიერ პარტიას, როგორიც კადეტებია. როგორის აზრისაც არ უნდა ვიყოთ კადეტებზე, როგორც არ უნდა ვწუნობდეთ მის ორჭოფობასა და ოპპორტუნიზმს, იმას მაინც ვერ ვყოფთ უარს, რომ რუსულ ბურჟუაზიულ პარტიებში კადეტები ერთად-ერთს პარტიას წარმოადგენენ, რომელიც მედგარ ოპოზიციას უწევს ბიუროკრატიასა და მომხრეა ნამდვილ საკონსტიტუციო რეჟიმისა. კარგი არ იქნება, ასეთი პარტია აჰყვეს მაცდურ სურვილს და, იმის გულისთვის რომ სათათბიროში ათიოდე კაცით მეტი გაიყვანოს, შეუერთდეს სახელ გატეხილს პარტიას, რომელიც არასოდეს არ გასწყვეტს თავის კავშირს არც მემარჯვენეებთან, არც მთავრობასთან. პირიქით დღევანდელ გაჭირვებულ პოლიტიკურ მომენტში კადეტებს ჰმართებთ უფრო მარცხნით მიიწიონ, განამტკიცონ შეთანხმება და კავშირი იმ დემოკრატიასთან, რომლის თანაგრძნობისა და ნდობის წყალობით მოიპოვა მან ძალა. „კონსტიტუცია იღუპება“-ო ყალბი ლოზუნგია, რადგან რუსეთის კონსტიტუცია კარგა ხანია დაღუპულია. მისი აღდგენა და აყვავება ოქტომბრისტებთან კავშირს-კი არ შეუძლია, არამედ რუსეთის დემოკრატიულ ელემენტებთან მჭიდრო დაახლოვებასა და მასთან ერთად ბრძოლას საერთო მტრის წინააღმდეგ.

## ახალი ამბავი

✦ **მკვლელობები.** 26 ივნისს, საღამოს 6½ საათზედ, ავჭალისა და კუკიის ქუჩების შესართავთან მიმავალებულა ხეტყისა და შეშის ვაჭარი ლუკა სულაქველიძე. სულაქველიძეს მოულოდნელად თავს დაეცნენ ვიღაცები. ერთს მათგანს სულაქველიძისთვის ოთხჯერ რევოლვერი დაუხლია და იქვე მოუკლავს. მკვლელი თუმანოვის ქუჩისაკენ გაქცეულა, გზაში ერთხელ კიდევ გაუსროლია რევოლვერი და მიმალულა. ამბობენ, სულაქველიძისათვის ვიღაცებს წერილით ფული მოუთხოვნია, მას უარი უთქვამს და ამისთვის მოუკლავთო. პოლიციამ ეჭვით დააპატიმრა სიღნაღის მაზრის მცხოვრები გიორგი ნასყიდაშვილი.

ამავე დღეს, საღამოს 9 საათზედ, ხოჯივანქის სასაფლაოსთან სროლა ატეხილა. მისულან პოლიციელები და უნახავთ გვამი ყაზახის მაზრის მცხოვრების გრიგოლ გრიგორიანცისა, რომელსაც 6 ტყვიისა და სამი ხანჯლის ჭრილობა ჰქონდა.

✦ **სომეხ-თათრების შეტაკება.** როგორც ერევნის გუბერნატორი ატყობინებს კავკასიის უმაღლეს მთავრობას, 19 ივნისს ერევნის გუბერნიის სოფელ არიხვალის სომხებსა და სოფელ ჩობანგლიარის თათრებს შორის შეტაკება მომხდარა. ატეხილი სროლა მალე შეუწყვეტიათ, რადგან სწრაფად გაჩენილან დარაჯები და პოლიციელები. შეტაკება საძოვრის გამო მომხდარა. შეტაკების ადგილას წასულა მომრიგებელი კომისია.

✦ **პოლიციის შენახვა.** როგორც ისმის, კავკასიის უმაღლეს მთავრობას შეუდგენია მოხსენება იმის შესახებ, რომ კავკასიის პატარა და სამაზრო ქალაქებს დაევალოთ პოლიციის შესანახ ხარჯში მონაწილეობის მიღება.

✦ **ადმინისტრატიულის წესით გადასახლება.** ტფილისის გენ.-გუბერნატორის განკარგულებით, ასტრახნის გუბერნიაში სამხედრო წესების მოხსნამდე გზავნიან გორში დაპატიმრებულ გორის სასულიერო სასწავლებლის მოწაფეებს და ამავე სასწავლებლის მოწაფეებად ნამყოფებს: სარქის გალუსტოვს, ივანე წერეთელს, ნიკოლოზ თვალაძეს, რეზო ქურდოვანიძეს და მიხეილ ჩაბიევს. ამათ აბრალებენ სატერორო ორგანიზაციის შედგენას. ვიატკის გუბერნიაში ხუთის წლით გზავნიან იოსებ ადამიას, რომელსაც აბრალებენ კობახიძის მაღაზიაზე თავდასხმას.

✦ **მუშების დადგენილება.** ქართვ. გამომცემელ ამხანაგობის სტამბის მუშათა ბიუროს მსჯელობა ჰქონია იმ ამხანაგების შესახებ, რომელნიც ცუდად იქცევიან და თავიანთ მოვალეობას არ ასრულებენ. ბიუროს წევრთა აზრით ასეთი მომუშავენი სახელს უტეხავენ და ნდობას უკარგავენ საერთოდ მუშებს. სამუშაო დღე რვა საათია, მაგრამ, როგორც გამოირკვა, ზოგნი თურმე ადრე გარბიან, ზოგნი იგვიანებენ და ზოგნიც პირნათლად არ მუშაობენ. ამას გარდა ლოთობაც ყოფილა. ბიურომ დაადგინა, აირჩიოს 11 კაცისაგან განსაკუთრებული კომისია და დაავალა მას ასეთ ამხანაგების საქციელის განხილვა და სასჯელის დანიშვნა.

✦ **ქართული საისტორიო და საეტნოგრაფიო საზოგადოება.** როგორც შევიტყეთ, მთავრობას დაუმტკიცებია „ქართულ ისტორიო-ეტნოგრაფიულ საზოგადოების“ წესდება, რომელიც შეიმუშავა ისტორიისა და ეტნოგრაფიის მოყვარულთა ერთმა ჯგუფმა ბ-ნ ე. თაყაიშვილის ინიციატივითა და თავმჯდომარეობით. ამ დღეებში აღნიშნულ „საზოგადოების“ დამფუძნებელ-წევრებს კრება ექნებათ გამგეობის წევრთა ასარჩევად. სულ ცხრა წევრია ასარჩევი.

✦ **ერობის შემოღება,** ნამესტნიკის განკარგულებით, თერგის ოლქში ერობის შემოსაღებად ემზადებიან.

✦ **იალბუზზე ასასვლელად გამგზავრება.** ტურისტთა ერთ ჯგუფს განუზრახავთ იალბუზზე და კავკასიის სხვა მწვერვალებზე ასვლა. ჯგუფი პიატიგორსკიდან უკვე გამგზავრებულა იალბუზისაკენ. ჯგუფს წინამძღოლობს ინგლისელი ქალი ბარნიკოტი.

✦ **სამაზრო საარჩევნო კომისიები.** ნამესტნიკის კანცელარიამ წინადადება მისცა ტფ. ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეს, სახელ. სათათბიროს წევრის არჩევნებისთვის შეადგინოს სამაზრო საარჩევნო კომისიები.

✦ **დაპატიმრება.** როგორც გორიდან გვატყობინებენ, 26 თიბათვეს დაუპატიმრებიათ სამოქალაქო სასწავლებელში კურს დამთავრებული იასონ გამდლიშვილი. როდესაც პოლიციამ ალყა შემოარტყა, გამდლიშვილს გაქცევა დაუპირებია, მაგრამ ცნობილ გუსაკოვსკის სროლა აუტეხნია. არავინ დაჭრილა. გამდლიშვილს კარგა ხანია დაეძებდნენ.

✦ **მამასახლის ბერიშვილის მოკვლის გამო.** როგორც ვწერდით, მარტყოფის მამასახლისის ბერიშვილის მოკვლის გამო შეიპყრეს იორდანაშვილი და ეპიტაშვილი. „კ.“-ს სიტყვით, ბერიშვილის მოსაკვლელად იორდანაშვილი და ეპიტაშვილი წაუქეზებიათ ადგილობრივ მედუქნეებს ბანილაშვილს, ჯერენაშვილს და სალახიას, რომელნიც დააპატიმრეს კიდეც. როგორც გაზეთი გადმოგვცემს, მათ შური უძიებიათ, რადგან ბერიშვილს, როგორც მამასახლისს, ადმინისტრაციის დავალებით, მათი დუქნები დაუკეტნია.

✦ **დიდი მოგება.** 18 ივნისს პეტერბურგში მომხდარა კრება ნობელის ნავთის მწარმოებელ ამხანაგობისა. როგორც ამ კრებაზე წაკითხულ ანგარიშებიდანა სჩანს, შარშან ამხანაგობას მოგება ჰქონია 7,430,000 მანეთი (შვიდ მილიონ ნახევარზე ცოტა ნაკლები).

✦ **უმაღლესი კურსები.** ტფილისში განზრახულ უმაღლეს კურსებზე ლექციების კითხვა დაიწყება სექტემბერს. კურსები მოეწყობა პუშკინის სახელობის ბიბლიოთეკის სადგომში. თუ კურსებზე 200 მეტი ჩაეწერა, მაშინ უფრო დიდ მოხერხებულ ადგილს მოსძებნიან. ლექციების კითხვა იქნება დილით 8-10 საათზე, ხოლო საღამოთი 6-9 საათზე.

✦ **„ზაკავკაზიე“.** ხვალიდან ხელახლად გამოდის გაზეთი „ზაკავკაზიე“, რომელიც ორის კვირის განმავლობაში დაკეტილი იყო ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებით.

✦ აკრძალეთ ტფ. გუბერნიაში ცხოვრება გდესს სიმონ კასაევს და მედუქნეს მირონ ჯავაშვილს.

✦ **სვიმონიძის დაპატიმრება.** 26 ივნისს, საღამოს 5 ს., მალაკნის ქუჩაზე გაჩხრიკეს სათავად-აზნაურო ბანკის დიდი სახლი. ჩხრეკამ ღამის 10 საათამდე გასტანა. სახურავში უნახავთ ბერდანა. პოლიციელებს დაუპატიმრებიათ რკინის გზის მოხელე ს. პ. გოგალაშვილი (არტისტი სვიმონიძე) მიზეზი დაპატიმრებისა ვერ გავიგეთ.

✦ გუშინა გწერდით, რომ ალექსანდრე მათიაშვილს აეკრძალა ტფილისის გუბერნიაში ცხოვრება. ეს შეცდომაა. მათიაშვილს წინად აეკრძალა ცხოვრება ტფ. გუბერნიაში და ეხლა ნება დაერთო დაბრუნდეს.

✦ 25 ივნისს პოლიციელებმა დააპატიმრეს სამუილ ჯანმგაროვი, რომელზედაც ეჭვი აქვთ, რომ მას უნდა მიეღო მონაწილეობა ამას წინად ოდგას ქუჩაზე ვაგონში პოლიციელის მუსტიაცის თავდასხმაში, რომლის დროსაც დასჭრეს პოლიციელი და მოჰკლეს ნამესტნიკის კანცელარიის მოხელე შჩერბინი.

✦ დიდუბისაკენ მიმავალ ვაგონში 26 ივნისს, საღამოს 10 საათზედ, ჩამჯდარა ერთი მთვრალი დეკი, რომელიც ვიღაცის მცველი უნდა იყოს. უმიზეზოდ ამოუღია ჯიბიდან რევოლვერი და ხან ერთ მხარეს გაუშვერია გასასროლად, ხან მეორე მხარეს. ხალხი შეშინებულა. დეკთან თხოვნას ვერ გაუწყვია. კონდუქტორს წინა ვაგონში მჯდომ აფიცრისათვის უთხოვნია დახმარება, მაგრამ მთვრალი აფიცერსაც გასძალიანებია; ბოლოს პოლიციისთვის დაუძახნიათ და მთვრალი იმისთვის გადაუციათ.

## ქუთაისის ქრონიკა

✦ ქუთაისის ქართული გიმნაზია უდიდესი სასწავლებელია არა თუ მარტო ქუთაისში, არამედ მთელ კავკასიაშიაც. მომავალ ენკენისთვიდან გაიხსნება მერვე კლასი და დამთავრდება გიმნაზია. მერვე კლასის გარდა, სხვა კლასებს მოსამზადებლებს და ძირითადს, ყველას პარალელი აქვს და ამნაირად ერთი გიმნაზია-კი არა ორი გიმნაზიაა ერთად. მოსწავლეთა რიცხვი შარშან, როგორც ამას წინადაც გაცნობეთ, 1100 კაცს აღემატებოდა, ხოლო წრეულს შემოდგომიდან მოწაფეთა რიცხვი მოსალოდნელია ავიდეს 1200 კაცამდე. წრეულს მერვე კლასი იხსნება უპარალელოდ და მერმის, როცა მეშვიდე კლასისა და მის პარალელის მოწაფენი გადავლენ მერვეში, მერვე კლასსაც დასჭირდება პარალელი. ასეთ დიდ სასწავლებელს ერთი გამგე და თანაშემწე ვერ გასწვდებიან, მით უმეტესს სასწავლებელი სამ შენობაშია მოთავსებული. ამის გამო სამზრუნველო კომიტეტს საჭიროდ დაუნახავს დაარსოს გამგის მეორე თანაშემწის თანამდებობა.

✦ ამ დღეებში ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი იაზიკოვი ლეჩხუმსა და რაჭისაკენ მიემგზავრება. თან მისდევს ქვეითი და ცხენოსანი ჯარი.

✦ ცოტა ხანში ქუთაისში გამოვა ყოველ კვირეული გაზეთი ქართულ ენაზე, სახელად „ცისკარი“.

✦ პეტერ. სააგენტოს მიერ გადმოცემული დეპეშა გამრეკლიძის მკვლელობის შესახებ ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს მკვლელობა პოლიტიკურს ხასიათისა იყოს და სამეურნეო სასწავლებელთან რაიმე დამოკიდებულობა ჰქონდეს. გამრეკლიძე მოუკლავთ ვიღაც უცნობებს სამეურნეო სასწავლებლის ადგილზე, ფერმის ქუჩიდან შესავალის მახლობლად, იმ ადგილს, სადაც ხალხი დასეირნობს და არავითარი მუშაობა მოსწავლეთა მხრით არა სწარმოებს. მკვლელობის დროს ზოგი მოსწავლე ვენახში მუშაობდა და ზოგიც სიმინდსა სთოხნიდა. მოკლული ადგილობრივი არც მცხოვრებია არც მემამულე; იგი ქუთაისში მოსულა და თავის ძმასთან დაბინავებულა. გამრეკლიძეს, როგორც თურმე იმისი ნათესავები ამბობენ, პირადი შუღლი მოვენება ჰქონია ბევრთან და უთუოდ ეს გაიხადა იმის მკვლელობის მიზეზად.

### შავი ქვის მრეწველთა მეცხრე კრება.

23 ივნისი.

კრება მთელი დღე მოუნდა იმ მოხსენების განხილვას, რომელიც ეხება გატანილ მადანზე დაწესებულ გადასახადის გადიდებას. ვრცელსა და დასაბუთებულ მოხსენებაში საბჭომ აღნიშნა რა ის გარემოება, რომ მრეწველთა კრება ერთ-ერთი დაწესებულებაა საქართველოში, რომელიც ერობის ფუნქციას ასრულებს, საჭიროდ სცნო, შეცვლილ იქნას დებულების ის მუხლი, რომელიც უკრძალავს მრეწველთ გატანილ მადანზე კრების სასარგებლოდ 3/4 კაპეიკზე მეტის გადასახადის დაწესებას. საბჭოს აზრით, გადასახადის რაოდენობის მაქსიმუმი 2 კაპეიკს უნდა უდრიდეს, ხოლო ამ ხელად გადასახადს უნდა მიემატოს 3/4 კაპეიკი და ამას გარდა ეს გადასახადი დაწესდეს იმ მადანზედაც, რომელიც, ჭიათურის გარდა, სხვა სადგურებიდანაც გააქვთ, მაგალითად, ზესტაფონიდან, გომიდან და სხ. ბ-ნ კიტა აბაშიძის მიერ წაკითხულ მოხსენებაში აღნიშნულია სხვათა შორის ისე, რომ ოპოზიცია ყოველთვის აფერხებდა მრეწველთა საბჭოს და კრების საქმეთა ნორმალურ მსვლელობას არა იმისთვის, რომ საქმე გაეუმჯობესებინა, არამედ იმისთვის, რომ საბჭოს მეთაურნი გაემავებინათ.

მოხსენების წაკითხვის შემდეგ სიტყვა ითხოვა ს. ქვარიანმა და პროტესტი განაცხადა, რომ ოპოზიცია ავად არის ნახსენები.

**თავმჯდომარე.** ეგ საქმეს არ ეხება.

**ს. ქვარიანი.** მოხსენების ავტორს ზიზღს ვუცხადებ...

**თავმჯდომარე.** მეორე შენიშვნას გაძლევთ.

**ს. ქვარიანი.** მოხსენება აზვიადებს საბჭოს მოქმედებას. 14 წლის განმავლობაში საბჭომ დახარჯა 2 1/2 მილიონი მანეთი და გაკეთებით-კი არაფერი გაუკეთებულა. მრეწველთაგან მიღებულ ფულით ჯიბეები გაისქელეს ტკბილად მოსაწყობ კაცებმა და საქმე-კი არა მოხმარებია რა. მე ყოველთვის წინააღმდეგი ვიქნები გადასახადის მომატებისა, ვიდრე საბჭოს სათავეში იქნებიან უნიჭო, ენერგიას მოკლებული და უვიცი ხალხი.

**ა. წერეთელი.** ბ-ნ ქვარიანის სიტყვებს უარ-ჰყოფს ის გარემოება, რომ მრეწველნი ყოველთვის დიდის უმრავლესობით ირჩევენ ხოლმე ზდანოვიჩს.

**ი. პერსენაკის** აზრით, ჯერ ხარჯთ-აღრიცხვა უნდა განიხილოს კრებამ და მერე საკითხი გადასახადის მომატების შესახებ. ორატორის აზრით, მომატება არა სასურველად იმოქმედებს მრეწველობაზე. ი. ლორთქიფანიძე და ბ. მოსეშვილი მომხრენი იყვნენ გადასახადის მომატებისა, მხოლოდ ამ უკანასკნელის აზრით გადასახადი არ უნდა აღემატებოდეს 1 კაპ.

**გ. ზდანოვიჩი.** ორატორი, სხვათა შორის, ღრიანდი სიტყვით შეეხო ოპოზიციას და აღნიშნა, რომ იგი თავის მოქმედების დროს პიროვნებით ხელმძღვანელობს და არა საქმის კეთილ-დღეობით. შემდეგ სთქვა: ექსპორტერებს არა ერთხელ უთქვამთ ჩემთვის, რომ ისინი წინააღმდეგი არ არიან გადასახადისა, თუ იგი მოხმარდება არა განმანათლებელ და სხვა ამ გვარ დაწესებულებას, არამედ თვით მრეწველობის გაუმჯობესებას. ამასთან ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს უსაჭიროეს მოთხოვნილებას (გზები, ხიდები და სხვ.) არა აკმაყოფილებენ. ჩვენც, ამის ზედგავლენით, როცა ხარჯთ-აღრიცხვის პროექტს ვადგენთ, ძალა უნებურად უყურადღებოდ ვტოვებთ მრავალს დარგს ჩვენის საჭიროებისას. მადნის ფასის მომატებას თუ დაკლებას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს გადასახადის მომატებასთან, და თვით ფასიც მადნისა არ შეიძლება იმ ზომამდე დაეცეს, რომ შეუძლებელი გახდეს გადასახადის გაღება. სულ სხვაა, როცა ამბობენ, რომ ზოგიერთ ექსპორტერს ახლანდელი გადასახადის კვალობაზე აქვს გაყიდული მადანი და თუ მოვუმატეთ, მაშინ ისინი შეიძლება ვაზარალოთ. ზედ-მეტი გადასახადის შემოღება ისე უნდა მოვუფარდოთ საქმეს, რომ იმან არ აზარალოს ექსპორტერები. გადასახადის წინააღმდეგნი შეიძლება იყვნენ მყიდველები და არა მრეწველნი, და მიკვირს, რატომ არ მოსდის აზრად ბ-ნ მოსეშვილს, რომ წინადუდგეს ფოთის ქალაქის გამგეობის განზრახვას 1/2 კაპ. ბაჟის დაწესების შესახებ და აქ აცხადებს წინააღმდეგობას ისეთ გადასახადის მომატებაზე, რომელიც თვით მრეწველობას მოხმარდება. ჩვენ ეხლავე არ გვინდა გადასახადი 2 კაპეიკამდე გავადიდოთ, ჩვენ გვინდა მოვიპოვოთ ეს უფლება, ხოლო ამ ჟამად გითხოვთ, რომ ეხლანდელი 3/4 კაპ. მაგივრად, დაწესდეს 1 1/2 კაპეიკის, ხოლო ამისი განხორციელება შეიძლება არა უადრეს მომავალი წლისა და ამიტომ გადასახადის გადიდებას არავითარი კავშირი არა აქვს მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვასთან.

შემდეგ კერძოდ ზდანოვიჩზე ლაპარაკი დაიწყო ბ-ნმა ქვარიანმა, მაგრამ თავმჯდომარემ ნება არ მისცა.

**ი. პერსენაკი.** მე კიდევ ვიმეორებ, რომ ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა წინ უნდა უძღოდეს გადასახადის მომატებას. ჩვენ შეგვიძლიან ხარჯები შევამციროთ, მოსამსახურეთა მუდმივი მოთხოვნილება, რომ ჯამაგირები მოგვმატეთო, არ დავაკმაყოფილოთ.

**გ. ზდანოვიჩი.** თქვენ არ მოგიმატებიათ თქვენის მოსამსახურეებისათვის ჯამაგირი?

**ი. პერსენაკი.** ეგ სულ სხვა საქმეა. ვიმეორებ, მოვისმინოთ საფინანსო კომისიის აზრი.

**ვარაზაშვილი.** ორატორმა მთელი ბრალი საქმის დავალიანებისა თვით კრებას დასდო. კრება, სთქვა ბ-ნმა ვარაზაშვილმა, როცა ხარჯთ-აღრიცხვის განხილვაზე მიდგება ხოლმე საქმე, ყოველივე ხარჯის გადებაზე თანხმდება და ეხლა საბჭოსა სდებს ბრალს, რად დაიდეთო ვალი. ნუ მისცემდა ნებას და არც ვალი იქნებოდა. თუ კრებას სურს ემსახუროს საერთო საქმეს, ის ვალდებულია გადასახადს მოუმატოს, რომ ამით გაუძლოს ყოვლად საჭირო ხარჯებს.

შემდეგ ბარ. მოსეშვილმა ილაპარაკა. იმის აზრით გადასახადის მომატებით შეიძლება მადანმა ბაზარიც-კი დაჰკარგოს. შეეხო სიმინდის ვაჭრობას. რუსეთში შიმშილობის დროს აკრძალეს საზღვარ გარედ სიმინდის გატანა, ამით ისარგებლა ამერიკის სიმინდმა და ჩვენი ბაზარი დაიჭირაო. ასეთი ბედი ეწვია შავ ქვასაცაო.

**გ. ზდანოვიჩი.** მოსეშვილი სწორედ ისე იქცევა, როგორც ძუნწი ხშირად, როცა მას ფულსა სთხოვენ, ჯიბეში აქვს ფული მაგრამ მთხოვნელს არწმუნებს, მაგდენი არა მაქვს და თუ გინდა ნაკლები წაიღეო. ამ გვარი მსჯელობა ფარისევლურია და მდარე კრიტიკასაც კი ვერ იტანს. სიმინდის ამბავის მოტანა აქ არაფერ შუაშია და იგი აშკარად ამტკიცებს ბ-ნ მოსეშვილის უვიცობას. ვიდრე სიმინდის გატანას აკრძალავდნენ, ამერიკულმა სიმინდმა კარგსა და გაუმჯობესებულს ტეხნიკის წყალობით მსოფლიო ბაზარი დაიჭირა. მოსეშვილის მსჯელობა იმ თვისებისაა, რომ იგი აშკარად ამტკიცებს, რომ მას საერთო საქმეში არაფერი აინტერესებს და მარტო თავის ჯიბის ანგარიშით ხელმძღვანელობს.

შემდეგ ილაპარაკეს ი. ნიჟარაძემ, კიტა აბაშიძემ, პერსენაკმა.

**მოსეშვილი.** ზდანოვიჩს უფლება არა ჰქონდა ჩემთვის ფარისეველი ეწოდებინა და ეს სიტყვა მისთვისვე დამიბრუნებია. ზდანოვიჩი ბოროტ-მოქმედებს თავის მჭევრმეტყველობით და რაც კი ენაზე მოადგება, იმას ამბობს. შემიძლიან დავამტკიცო, რომ რა საქმესაც მოჰკიდა ხელი ზდანოვიჩმა, ყველა უხეიროდ წავიდა, ქალაქის წყლის საყვანი, ბანკი და სხვა მაგის ხელში დაიღუპა. ჩვენ საქმესაც ასეთი ბედი მოელის. ჩვენი გამგენი სულ ფულსა გვთხოვენ, და სამაგიეროდ არაფერს გვაძლევენ. აქამდის ვერ გამიგია, რად შეურაცხმყო ზდანოვიჩმა, ან რად ჰგონია, რომ მას უკეთ ესმის ჩვენი, მრეწველების ინტერესი, ვიდრე ჩვენ თვითონ.

**გ. ზდანოვიჩი.** მე მოსეშვილს კი არა, იმის მსჯელობას ვუწოდე ფარისევლის სახელი. მოსეშვილის პიროვნებას არ შევხებივარ, თორემ პიროვნება-და მოსეშვილის გამაწბილებელი ბევრი რამ აღმოჩნდებოდა, ის კი სხვა რამ პიროვნებას, წყლის-სადენის საქმეც-კი მოიტანა. მოსეშვილთან და მის მსგავსებთან კამათი სწორედ ძნელი საქმეა. როცა მადნის ფასი დაცემულია, მაშინ ფასის დაცემა მოჰყავთ იმის მიზეზად, რომ გადასახადი დაგვღუპავსო, როცა ფასი კარგია, მაშინაც წინააღმდეგნი არიან გადასახადისა, რადგან, ამბობენ ისინი, შეიძლება ფასმა დაიწიოსო, ერთის სიტყვით, ვერ მოსძებნით ისეთ დროს, რომ ორჭოფად მსჯელი ხალხი დაიყოლიოთ. აი ამას ვუწოდე და ვუწოდებ ფარისევლობას, ამაში ვხედავ მოსეშვილის და იმის თანამოაზრეთა იდუმალ სურვილს, რომ თავიანთი საქმე გაიკეთონ და გულ-წრფელობას მოკლებულ სიტყვებით გულუბრყვილო ხალხის გული მოინადირონ და ქვეყანას უჩვენონ, რომ საერთო საქმისათვის გული სტკივათ; მაგრამ სცდებიან, შეცდომაში ვერავის შეიყვანენ; ყველა აშკარად ჰხედავს, რომ მათ საქვეყნო საქმე ჩალადაც არ უღირთ, ოღონდ კი თავიანთი მოიმაგრონ. ბ-ნ მოსეშვილს ჰგონია, რომ მას შეუძლიან მრეწველთა სახელით ლაპარაკი და მე ამ უფლებას მოკლებული ვარ; მე ვფიქრობ, რომ ჩემი 12 წლის მოღვაწეობა მოსეშვილზე მეტ უფლებას მაძლევს მრეწველთა სახელით ვილაპარაკო, თორემ ამას თვით მრეწველნი უკეთ განსჯიან.

თავმჯდომარე სწყვეტს კამათს და აყენებს შემდეგ კითხვას: ვინც მომხრეა, რომ მრეწველთა კრებას უფლება ჰქონდეს მადანზე დადებული გადასახადი 2 კაპეიკამდე ავიდეს, ფეხზე წამოდგომით თანხმობა გამოაცხადოსო. წამოდგა 31 კაცი. წინააღმდეგ ამისა ფეხზე ადგა მარტო ბ-ნი ქვარიანი, ხოლო მოსეშვილმა კი პირველსა და მეორე შემთხვევაშიაც კენჭის ყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ერთხმად იქმნა მიღებული საბჭოს წინადადება, რომ ჭიათურის გარდა სხვა სხვა სადგურებიდან გატანილ შავ ქვასაც დაედოს გადასახადი. ერთხმადვე იქმნა მიღებული ის აზრი, რომ ახალი გადასახადი შემოღებულ იქმნას არა უადრეს 1908 წლის იანვრისა. დასასრულ, დახურულის კენჭის ყრით 53 ხმით წინააღმდეგ 13 ხმისა გადასწყდა, რომ ნება-რთვის მიღების შემდეგ, არსებულ გადასახადს მიემატოს 1/2 კაპეიკი.

კრება გადაიდო 25 თიბათვისათვის, როცა შეუდგებიან ხარჯთ აღრიცხვის განხილვას.

## პროვინციის ცხოვრება

**სოხუმი.** ეს ორ კვირაზე მეტია, ქუთაისის გუბერნატორს გაეგზავნა სია ქალაქის ხმოსნებად ამორჩეულთა. მართალია, არჩევნების გასაბათილებლად პროტესტი ბევრია გაგზავნილი, მაგრამ ყველა გაგზავნილი პროტესტი პირადის ხასიათისაა და ზოგს „დაბეზღების“ სუნიც კი უდის. იმედი აქვთ დამტკიცებული სია ამ დღეებში დაბრუნდეს კიდეც. ხმოსნებად არჩეულია 40 კაცი: შერ-

# ფელეტონი

## კულტურის ისტორია საქართველოში

(დასასრული*)

მერვე საუკუნიდან იწყება სხვა ხანა საქართველოს კულტურულ ცხოვრებისა. ამ ხანამ გასტანა მეცამეტე საუკუნემდე. იგი მეტად მდიდარია მასალებით, ასე რომ ამ ხანის შესწავლა მსურველს ზედ მიწევნით შეუძლიან. დროს უქონლობისა გამო ლექტორმა ეს ხანა მხოლოდ მოკლედ აღნიშნა.

ქართველებს, საზოგადოდ, რამდენჯერმე გამოუცდიათ მეფობის აღდგენა-მოსპობა. ამ ხანაში მესამედ მოხდა მეფობის აღდგენა. მეფობა პირველად დასავლეთ საქართველოში განახლდა. დასავლეთი საქართველო, როგორც ვიცით, ბიზანტიის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა და ბიზანტიელები კი ქართველებს არაბებზე უკეთ ექცეოდნენ.

მეფობა აშოტ კურაპალატმა აღადგინა. ხოლო საქართველოს გამაერთიანებელი ბაგრატ მესამე იყო. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების აღწერა, რომელიც პროფეს. მარმა აღმოაჩინა იერუსალიმს, მეტად საინტერესო წყაროა ამ დროის შესასწავლად. საქართველოს გაერთიანებას აფხაზებიც ფიქრობდნენ, ფიქრობდნენ სომხებიც, რათა ერთი ძლიერი სამეფო შეექმნათ და შეერთებულის ძალით მტრისთვის პასუხი გაეცათ, მაგრამ ვერც პირველთ და ვერც მეორეთ ეს საქმე ვერ მოახერხეს. მხოლოდ ბაგრატ მესამეს ჰხვდა წილად საქართველოს გაერთიანება. ბაგრატ მესამე არავითარ ბოროტების წინაშე ქედს არ იხრიდა. მან თავისი ნათესავებიც-კი არ დაინდო: ჯერ მიიწვია და შემდეგ ყველანი ციხეში დაამწყვდია. ამ ხანაში საზოგადოებასაც, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, თავად-აზნაურობასაც ჰქონდა გაერთიანების სურვილი, მაგრამ ბაგრატ მესამეს სულ სხვა ნაირად ესმოდა მეფობა და გაერთიანება, ვიდრე თავად-აზნაურობას. თავად-აზნაურობის სურვილი იყო უწინდებურად პარპაშობა და ბატონობა.

თვითონ ბაგრატი ურჩ თავად-აზნაურთა წინაშე ქედს არ იხრიდა, მაგრამ იმისი მახლობელნი მემკვიდრენი ნიჭითა და ხასიათის სიმტკიცით იმას აღარა ჰგავდნენ. ცნობილია, რომ ბაგრატ მეოთხემ ვერა თუ ურჩი ლიპარიტ ორბელიანი ვერ ალაგმა, თვითონვე საბერძნეთს გაიქცა, ხოლო ლიპარიტმა გიორგი მეორე დასვა სამეფო ტახტზე. ლიპარიტის წინააღმდეგ ხმის ამოღებას ვერავინა ჰბედავდა.

შემდეგ, როცა დავით აღმაშენებელი გამეფდა, შინაური საქმეები მეტად აწეწილ-დაწეწილი იყო და გარეშე მტრებმაც იმდენად შეამცირეს საქართველო, რომ მხოლოდ ერთი მუჭა ღა დარჩა. ლიხთ ამიერ თითქმის საქართველო არც კი იყო. დავით მეფე ჭკვიანად მოიქცა; მან შინაურ და გარეშე მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად ორგვარ ხერხს მიმართა. დაარწმუნა მთაში გახიზნული ხალხი ბარად ჩამოსულიყო და იქ დასახლებულიყო. დააწესა მუდმივი ჯარი, რომ საჭიროების დროს შინაურ და გარეულ მტრისთვის პასუხი გაეცა. ურჩი თავად-აზნაურნი დიდად აბრკოლებდნენ მეფეს, ხშირად მტრის მხარეს გადადიოდნენ და მეტოქეობასაც უწევდნენ. მუდმივი ჯარის საშუალებით დავითმა ისინი ალაგმა. დაიმორჩილა აგრეთვე ის წვრილი სამთავროები, რომელნიც საქართველოს განაპირას მდებარეობდნენ, საქართველოს მეზობლად და მოკავშირედ ითვლებოდნენ, მაგრამ ხშირად ღალატობდნენ და მტრებს შველოდნენ. დავითმა დაიმორჩილა აგრეთვე სამღვდელოებაც. თუმცა დავით მეფე საგარეო პოლიტიკას უფრო მეტს ყურადღებას აქცევდა, ვიდრე საშინაოს, მაგრამ შინაური საქმეებიც თვალ-საჩინოდ მოაწესრიგა. ბრძოლა მეფისა და თავად აზნაურთა შორის საქართველოში არ შეწყვეტილა თითქმის მეფობის მოსპობის დრომდე.

თამარ მეფის დროს მოხდა რამდენიმე პოლიტიკური მოძრაობა, რომელსაც აზრად საქართველოს მეფის უფლების შეზღუდვა ჰქონდა. მოითხოვეს მეფის სასახლის გვერდით ყოფილიყო ისეთი დაწესებულება, რომელსაც სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში აქტიური მონაწილეობა მიეღო. თამარი იძულებული გახდა ასე თუ ისე დაეთმო და ამ მოთხოვნილებისთვის ანგარიში გაეწია, თამარ მეფის ხანას საქართველოში ოქროს ხანას ეძახიან, მაგრამ მონგოლების შემოსევას რომ საქმე არ შეეფერხებინა, ეს ხანა მარტოოდენ ოქროს ხანის დაწყება იქმნებოდა, ხოლო ნამდვილი ოქროს ხანა შემდეგ დადგებოდა.

მაშინდელ საქართველოს სამეფო წესწყობილებას რომ დავაკვირდეთ, შემდეგი სურათი გადაგვეშლება: სამეფოს სათავეში იდგა მეფე ანუ ხელმწიფე. მეფეს და ხელმწიფეს ერთი მნიშვნელობა ჰქონდა. როგორც მატიანებიდანა სჩანს, მაშინდელ პოლიტიკოსებს მეფობა ამნაირად ჰქონდათ წარმოდგენილი: ზოგ მეფეს უფლება ჰქონდა სხვა მეფესთან დამოუკიდებლად ემართნა თავისი სამეფო. იყვნენ ისეთი მეფეებიც, რომელნიც უცხოელ მეფეებს ემორჩილებოდნენ და მათ დამოკიდებულად განაგებდნენ თავიანთ ქვეყანას. დაკანონებული იყო, რომ ვისაც რამე სიგელი ჰქონდა წინანდელ მეფისაგან, ახალ მეფისთვის უნდა წარედგინა დასამტკიცებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში სიგელი ბათილდებოდა. ამ ნაირად, მეფის განკარგულებას ძალა ჰქონდა მხოლოდ იმის სიცოცხლის დროს; ახალი მეფე თუ არ დაამტკიცებდა სიგელს, მას მნიშვნელობა არა ჰქონდა.

მეფე ითვლებოდა გამგედ, მაგრამ ნამდვილად თვითონ არ განაგებდა სახელმწიფოს. მართვა-გამგეობის დროს შველოდნენ ხელის უფალნი. მეფის შემდეგ უპირველეს კაცად ითვლებოდა მწიგნობართ უხუცესი და ვაზირი. პირველი ქართულ სიტყვიდან წარმოსდგება, მეორე არაბულიდან. როგორცა სჩანს, ამ წესრიგის დაწყობაში ორ ნაკადულს მიუღია მონაწილეობა. ერთს ადგილობრივს და მეორეს უცხოეთისას. მწიგნობართ-უხუცესი და ვაზირი მეფის მოადგილედ ითვლებოდა. როგორც არაბეთში, ისე საქართველოში ვაზირი დიდის უფლებით იყო აღჭურვილი. ვაზირი იყო უმთავრესი გამგე. თითქმის იმასვე ემორჩილებოდა თამარის ქმარიც დავით სოსლანიც, ჯარი და ყველა. მწიგნობართ-უხუცესად ხშირად იყო სასულიერო პირი, განსაკუთრებით ჭყონდიდელი, თუმცა ყოველთვის ასე არა ყოფილა. მხოლოდ დავითმა დანიშნა ჭყონდიდელი, თორემ, როგორც ეტყობა, წინად საერო პირი უნდა ყოფილიყო.

ვაზირს მისდევდნენ ამირ-სპასალარი, მეჭურჭლეთ უხუცესი ანუ ფინანსთა-მინისტრი, ბაზიერთ-უხუცესი და სხვანი. იყვნენ აგრეთვე შინაური ვაზირნი, რომელთაც მეფის სასახლის გამგეობა და სხვა ამ გვარი თანამდებობა ებარათ.

თამარის დრომდე მეფე აძლევდა ბრძანებას, ხოლო მოხელეებს სისრულეში მოჰყავდათ. თამარის მეფობაში, ხალხის მოძრაობის დროს, იმ დასს, რომელსაც განზრახული ჰქონდა მეფის უფლების შეზღუდვა, უნდოდა, მეფის მოხელეთა უფლებაც შეზღუდულიყო.

მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეში საქართველოს პოლიტიკურ აღორძინებას კულტურული აღორძინებაც მოჰყვა. განვითარდა ქართველი ერის თვით-შემეცნება. მრავალი უტყუარი საბუთი მოიძებნება იმისა, რომ ამ ხანაში ეს შემეცნება მართლაც ძლიერი იყო. როგორც ვიცით, წმიდა ქრისტიანობა კოსმოპოლიტური მოძღვრებაა და ყოველგვარ ეროვნულ განცალკევებას სპობს. მაგრამ საქართველოშიაც, როგორც სხვაგან, ამ სარწმუნოებამ ეროვნული ხასიათი მიიღო და იგი ქართულ ეროვნულ ნიადაგზე განმტკიცდა. ამ გრძნობამ მეშვიდე და მერვე საუკუნიდან დაიწყო გაღვიძება და მეათე-მეთერთმეტე საუკუნეში უმაღლესად განვითარდა. საქართველოს ეკკლესიას სა-

*) იხ. „ისარი“ № 138

გამიძე ალ. გრ. თ., გოგრიჩიძე ვას. ლაზ., ანჩაბაძე ტარ. თ., თურქია გახუ პ., თურქია სტეფ., ჟულელი ანთიმ, ჩიქოვანი ნიკ., ცეცხლაძე ივ., ლოლუა ილს., თურქია ზაქ., თურქია ბეგო, თოფურიძე ლუკა, მგალობლიშვილი ლიმ., ერქომაიშვილი ნიკიფ., ნუა ტიმოთე (ბადურის), გოგეჯანაშვილი ნესტორ, გაბუნია ბახვა, გეორგაძე გრიგ., კვაჩავა იაკობ, ნადარეიშვილი ალექ., ნადარეიშვილი აქვსენტი, თურქია საჩინო, ნიჟუა ანტონ, გვათუა ევსევი, კალანდარიშვილი პავლე, ოსტროუმოვი ალ., სმეცკოი ნიკ., ლალი ალ. ვალ., ტომარა მიხ., ტროიანოვსკი ნიკ, ზახაროვი ნიკ. ვას., იაკოვენკო ს. ს., სამურიდი ქრის., კომნინო ლიმ., ზოგრაფოპულო გ., გაფიანი პავ., იამანდოპულო ნიკ., ტემმიჩევი აპ., ალთიზი იაკ. და ბაბაჯანი ილს.

არჩეული ხმოსნები ეროვნებით ასე განაწილდებიან: 25 ქართველია, 7 რუსია, 6 ბერძენი, 1 ფრანგი და 1 ყარაიმი. ორმოც ხმოსნის გარდა არჩეულია 8 მათი კანდიდატი. ამ არჩევნების გამო ქუთაისში წასულია ქალაქის თავის მოადგილე კ. კორჩიცი. არჩეულები ქალაქის თავისა და მისის მოადგილისა მომავალ სექტემბრამდე არ მოხდება, რადგან ამ თვის გასულს ჩვეულებრივი საზაფხულო კანიკულები დაიწყება ქალაქის საბჭოსი. ქალაქის თავის უეჭველ კანდიდატად ასახელებენ აწინდელ ქალაქის თავს ნიკ. თავდგირიძეს. ახლანდელი ქალაქის თავის მოადგილეს კონ. კორჩიცსაც დიდი შანსები აქვს თავისივე თანამდებობა შეინარჩუნოს.

პოლიტიკური დამნაშავე გლ. ემუხვარი ოთხს თვეს ამყოფეს აქაურ საპატიმროში (მიუხედავად მძიმე ავადმყოფობისა) მხოლოდ იმიტომ, რომ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის ამორჩევის ასარჩევად გამართულ წინასწარ კრებაში სიტყვა წარმოსთქვა. თუმცა „საწინაალმდეგო" არა უთქვამს რა, მაგრამ მაინც დამნაშავედ მოჩანთლეს— უფლება არა გქონდა საზოგადოდ ლაპარაკისაო. ოთხის თვის ტანჯვის შემდეგ, განთავისუფლების მაგიერ, ვიატკის გუბერნიაში ხარ გადასახლებულიო, გამოუცხადეს. ემუხვარი უკვე წაიყვანეს ეტაპით ქუთაისის ციხეში.

აქაურ საპატიმროებიდან ტუსაღთა გაქცევამ თითქმის ეპიდემიური ხასიათი მიიღო: ამ დღეებში სატუსაღოს სახურავიდან გაიპარა ტუსაღი ვარდანია, რომელსაც წინა დღით ოლქის სასამართლოს სესიამ 10 წლით კატორგა მიუსაჯა.

## რად დავითხოვეთ მუშები „კახეთის" საზოგადოებიდან

(წერილი რედაქციის მიმართ)

ამ წლის 28 მაისს დავითხოვეთ დაქირავებული მუშები და იმათ მაგიერ საქმეში ჩავაყენეთ თვით „კახეთის" საზოგადოების წევრნი. ამის გამო ზნეობრივ ვალდებულებად მიგვაჩნია ვაუწყოთ საზოგადოებას, თუ რა იყო მიზეზი მუშების დათხოვნისა. საერთოდ მიღებულია, რომ განმათავისუფლებელ მოძრაობას მუშებმა დიდი ამაგი დასდეს. „მოამაგე და მოჭირნახულე მუშათა" წინააღმდეგ ლაპარაკი უხერხულია და ასეთი უხერხულობა ხშირად გვაიძულებდა ხოლმე პირი მოგვეკუმა და კრინტი არ დაგვეძრა, როდესაც მუშები ათას უსაფუძვლო ბრალს სდებდნენ ჟურნალ-გაზეთობაში „კახეთის" საზოგადოებას. მაგრამ გაჩუმებას და ყურის მიგდებასაც თავისი საზღვარი აქვს. მოვალენი ვართ ვუპატრონოთ „კახეთის" საზოგადოების ინტერესებს, რომლის მოქმედობა-მოღვაწეობა მჭიდროდაა დაკავშირებული მთელის რაიონის კეთილდღეობასთან.

ამ ბოლო ორის წლის განმავლობაში მუშებმა შესამჩნევად გაიუმჯობესეს თავიანთი მდგომარეობა და საუკეთესოდ შესცვალეს მუშაობის პირობანი. ჩვენ მუშებს კი დიდი ხანია მინიჭებული ჰქონდათ ის უფლებანი, რაც სხვებმა ბრძოლით და გაფიცვებით მოიპოვეს. მაგალითად, „კახეთის" საზოგადოების დაარსების დღიდან, ამ 12 წლის წინად. ჩვენ მუშებს ნება ჰქონდათ ერთის ოვით დაესვენათ ხოლმე და ჯამაგირიც ელოთ დასვენების დროს; უსასყიდლოდ ჰქონდათ ექიმობა და წამლობა და კვირა უქმე დღეებში სარგებლობდნენ თავისუფლებით. სხვაგან, ჩვენისთანავე მზგავს დაწესებულებაში რომ დღეში 15 საათს მუშაობდნენ, ჩვენები მხოლოდ 9 საათს საქმიანობდნენ. ჩვენისავე ხარჯით და საფასით ვაძლევდით ხალათებს და ფესტამალსა, სასადილო და სამზარეულო ჭურჭელს, დღეში კაცზე თითო ბოთლ ღვინოს და მზარეულს. რიგიანად და ზრდილობიანად ვეპყრობოდით ყველას. მუშის დათხოვნა ძალიან ძვირად ხდებოდა. ამ 12 წლის განმავლობაში მხოლოდ ორი მუშა დავითხოვეთ.

1905 წელიწადი რომ დადგა, უფრო მეტად გავაუმჯობესეთ მუშათა მდგომარეობა. ცხრა საათის მაგიერ შემოვიღეთ რვა საათის მუშაობა; დავადგინეთ, რომ მუშის მიღება და დათხოვნა საკვლავიოდ მოხდეს ხოლმე, ისე რომ მუშების თანხმობაც ყოფილიყო. დილაობით გაუჩინეთ ჩვენის ხარჯით ჩაი და თვეში ორჯელ აბანო. 1905 წლიდან დღევანდლამდე ჯამაგირი მოემატათ 75%, ესე იგი თითქმის გაორკეცდა.

არ გეგონოთ, რომ აქ ჩამოთვლილი უპირატესობანი მუშებმა სასტიკის ბრძოლით მოიპოვეს! ბრძოლა რა სათქმელია, თხოვნა რა არის, თხოვნითაც არ მოუმართავთ. ჩვენ ჩვენის სურვილით და ნებაყოფლობით მივანიჭეთ ეს უპირატესობანი. მაშ რა მიზეზია, რომ მუშები მაინც ბუზღუნობენ და უკმაყოფილონი არიან? რისთვის გაიფიცნენ ამ ორის წლის წინად და ბოიკოტი გამოგვიცხადეს? რა მიზეზია, რომ ამ ქ მად იძულებული გავხდით დაგვეთხოვნა მუშები, რომელთაც ახალის ბოიკოტით გვიპასუხეს?

ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ მუშებმა მრუდე გზა აირჩიეს მუშაობის პირობათა გასაუმჯობესებლად. იგინი ეტრფიან იმის განხორციელებას, რის განხორციელებაც შეუძლებელი და მიუწდომელია წარმოების დღევანდელ ვითარება-პირობებში, ვერ მიჰხვდნენ, რის გატანა შეიძლება ძალლოზე, თავიანთი თავი ბუმბერაზად წარმოიდგინეს და რაც კი მიღებულ უფლებით და უპირატესობით არ დაკმაყოფილდნენ, მოინდომეს ყოველი უფლება აგვხადონ ჩვენ, საქმისა და წარმოების პატრონებს. უფლებათა შეძენა-მოპოვების სურვილმა ისე გაიტაცა მუშები, რომ სრულიად დაავიწყდათ, რომ უფლების გარდა მოვალეობაც არსებობს ქვეყანაზე. მიცემული უფლება—თუ თქვენი თანხმობაც არ იქნება, ისე არ დავითხოვთ მუშასაო, ჩვენმა მუშებმა ისე გაიგეს, რომ მიღება და დათხოვნა ჩვენი სურვილიაო. ამ გვარად ამ დიდ საქმეში მუშებმა „საზოგადოების" გამგეობა ხელცარიელზე დასვეს. ამითიც ვერ შეიჯერეს გული და მიითვისეს ასეთი უფლება— კანტორაში მოსამსახურეთა მიღება და დათხოვნა ჩვენი ნებააო და საქმის მოთავეთა და პატრონთა უფლებების ტაციაობამ უცნაური მდგომარეობა დაბადა. იმის ნებაც აღარა გვქონდა, რომ განყოფილებიდან კანტორის მოსამსახურე საცენტრო კანტორაში გადმოგვეყვანა, უკე თუ მუშები თანხმობას არ გამოაცხადებდნენ. ამ თანხმობის აღება კი ადვილი საქმე არ იყო ხოლმე.

ჩვენის უფლების განადგურება-გაქარწყლებით მაინც ვერ დაკმაყოფილდნენ მუშები. აიღეს და დაითხოვეს მეღვინე, რომელსაც უსიამოვნება მოუვიდა ერთ მუშასთან. სამედიატორო სამართალმა განიხილა ეს საქმე და დაადგინა ხმის უმეტესობით, რომ მეღვინე პირნათლად ექცეოდა (კორრექტულად) მუშებს და არავითარი დანაშაული არ მიუძღვის მუშების წინაშე, მაგრამ მუშებმა არ ინებეს დამორჩილებოდნენ ამ გადაწყვეტილებას და მეღვინე სარდაფში არ ჩაუშვეს. ეს გარემოება იმის მომასწავებელია, რომ სხვის უფლებათა მოტაცების გარდა, ჩვენ მუშებს აზრადაც არა აქვთ დამორჩილდნენ სამედიატორო მსაჯულთა გარდაწყვეტილებას.

მუშებს მინიჭებული ჰქონდათ უფლება წელიწადში ერთი თვე დაესვენათ და თან ჯამაგირი ჰქონოდათ. ეს უფლება ასე გამოიყენეს. იგვიანებდნენ სამუშაოზე, მუშაობის დროს საქმეს თავს ანებებდნენ და მიდიოდნენ სხვაგან. თუ ვეტყოდით რასმე, ასე არ იქნება, საქმე ზარალობსო, მაშინვე იმას გვიპასუხებდნენ: ერთი თვის დასვენების უფლება ხომ მაქვს, მიანგარიშეთ დაკარგული დრო და თვიურ დასვენებიდან გამომირიცხეთო. მაგრამ საქმე ასე უბრალო არ არის. როდესაც რომელიმე მუშა იგვიანებს, ან უდროო დროს მუშაობაზე ხელს იღებს, მთელი საქმე იმ ჯგუფისა, სადაც დაგვიანებული მუშა საქმიანობს, ჩერდება, ან კიდევ თუ ამისთანა მუშა აკეთებს საქმის რომელსამე ნაწილს, დანარჩენი მუშები გულხელდაკრეფილნი უნდა ისხდნენ, ვიდრე ეს ნაწილი არ გაკეთდება. ისიც სათქმელია, რომ დაგვიანების და საქმიანობის დროს თავ ს დანებების აღნუსხვა სწორედ რომ მოუხერხებელია. კანტორაში მოსამსახურეებს გული ეთანადრებოდათ და ერიდებოდნენ რეგისტრაციას. ამგვ რად თვიური დასვენებითაც სარგებლობდა მუშა და წლის განმავლობაში სამუშაოზედაც იგვიანებდა და მუშაობიდან თავის ნებით მიდიოდა, როცა მოისურვებდა.

მუშებს უფლება ჰქონდათ არ ემუშავნათ დიდ უქმე-დღესასწაულებში. ეს უფლებაც ბოროტად მოიხმარეს ჩვენმა მუშებმა და ისეთ დღესასწაულებს უქმობდნენ, რომელსაც არსად არ უქმობენ, მაგალითად, იოანე ღვთის მეტყველის უქმეს, წმ. გიორგობას წელიწადში ორჯელ და სხვას. მაგრამ ყველაზე მტკიცედ და შეუდრეკლად მუშები იმ უფლების განხორციელებას ეძიებდნენ და ნატრობდნენ, რომ დიდ უქმე დღეს რაც შეიძლება ბევრი ღვინო წაეღოთ სარდაფებიდან. საშობაოდ, ახალ წელიწადს, ყველიერში და სააღდგომოდ თავის ნებით და სურვილით თითომ თორმეტ-თორმეტი ბოთლი ღვინო გაიტანა იმის მაგიერ, რომ დასჯერებულიყვნენ 5 და 8 ბოთლს, როგორც დაწესებული იყო. დღეში კაცზე თითო ბოთლი ეძლეოდათ. სრულიად საკმარისია კაცის თავზე ერთი ბოთლი, მაგრამ მუშებმა ეს არ იკმარეს, იშოვნეს ლიტრიანი ბოთლები და ამ ბოთლებით გაჰქონდათ თავიანთი კერძი (ვედრაში ჩვეულებრივი ბოთლი 16, ლიტრიანი-კი 13, მაშასადამე თვეში 30 ბოთლის მაგიერ მიჰქონდათ 39, თითონ ხომ მიჰქონდათ და მიჰქონდათ წესზე მეტი ღვინო; თავიანთის ნებითა და გამგეობის დაუკითხავად მუშები სხვებსაც ურიგებდნენ ღვინოს, მაგალითად: მენავეს, მენავთეს, დღიურ მუშებს და სხვ. ადამიანი ვერც-კი წარმოიდგენს, რა ხდებოდა სარდაფში. საკმარისია მოვიხსენიოთ, რომ სადილს უკან ბევრი ჩვენთაგანი ვერა ჰბედავდა სარდაფში ჩასვლას. ვერიდებოდით ვაი თუ რაიმე აურ-ზაურს წავაწყდეთო.

**კომისია და «კახეთის» საზოგადოების გამგეობა.**

(შემდეგი იქნება)

## წერილი რედაქციის მიმართ

**(პასუხად ბ. გ. დუნდუას)**

გაზ. „ისრის" (№ 137) ფურცლებზე ბ-ნ გ. დუნდუა მე მეკითხება: „სად წაიღე ის 240 მანეთი, რომელიც მან მე გადმომცა დაზარალებულ გურულებისა და ქართლელების გასაგზავნათ"? ბ-ნ დუნდუას წერილის კილო ისეთია, რომ იგი ძალაუნებურათ ეჭვს იწვევს საზოგადოებაში და თანაც ეტყობა, რომ მის ავტორს განზრახ ჩირქის მოცხობაც უნდა სურდა ჩემთვის. ამიტომ ვალდებული ვარ ფული ჩემ თავს საზოგადოებას გავაგებინო, თუ სად წავიღე მე ის „ვაი-ვაგლახით შეგროვილი ფული", რომლის შესახებ ბ. დუნდუა მეკითხება გაზეთის საშუალებით.

ზემო აღნიშნული ფული—240 მან. მე მართლაც მივიღე ბ-ნ დუნდუასაგან მის მიერ დასახელებულ მიზნისთვის. მართალია ისიც, რომ ამ ფულის მიღებაში მე მას კვიტანციაც მივეცი. მაგრამ ამ სიმართლეს ბ-ნ დუნდუამ ორი დიდი ტყუილი დაურთო ზედ, რასაც ამ შემთხვევაში ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს. ბ-ნ დუნდუა 1907 წელს 26 ივნისს სწერს, რომ «**შარშან, ნოემბერში**, «მოგზაურის» რედაქტორს ფ. მახარაძეს გადავეცი 240 მანეთიო» (ხაზს ჩვენ ვუსვამთ). ე. ი. გამოდის, რომ ეს 1906 წელს ყოფილა, მაშინ როცა ხსენებული ფული ბ. დუნდუამ მე მხოლოდ 1905 წლის ნოემბრის უკანასკნელ რიცხვში გადმომცა, როცა თვით «მოგზაური» გამოდიოდა. მე არ ვიცი, შეიძლება ამ ტყუილის თქმა ბ. დუნდუას უნებლიეთ მოუვიდა, მაგრამ საქმისათვის ამას მეტად არსებითი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ვინ არ იცის, თუ რა იყო ჩვენ ცხოვრებაში 1905 წლის ნოემბერი და საერთოდ იმ წლის უკანასკნელი თვეები, როცა საზოგადოებას საშინელი განსაცდელი დაატყდა თავზე და როცა თუმცა ერთი წამით, ძველი შური და უთანხმოება დავიწყებული იქმნა და საზოგადოების უმეტესობაში ურთიერთ შორისი ნდობა და საერთო აღტაცება დამყარდა. მეორე ტყუილი, ბ. დუნდუასაგან გამოგონილი ის არის, რომ მე მას ვითომც «შევპირებოდე, რომ ეს შემოწირულება «მოგზაურის» შემდეგ დღის ნომერშივე იქნებოდა გამოცხადებულიო". ასეთი დაპირება მე მისთვის არ მიმიცია და არც შემეძლო რომ მიმეცა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ «მოგზაური„, როგორც თვით დუნდუა კარგად უწყოდა, ყოველ-კვირეული ჟურნალი იყო და არა ყოველ-დღიური გაზეთი, რომ მეორე დღესვე გამოცხადებულიყო მის მიერ გადმოცემული შემოწირულება. გარდა ამისა ბ-ნ დუნდუასთვის ასეთი დაპირების მიცემა მე არ შემეძლო იმიტომ, რომ 20 ნოემბრის შემდეგ „მოგზაურმა„ შეწყვიტა თავის არსებობა, რაც იმ დღეს, 20 ნოემბერს, გამოსულ ნომერში (№ 41) ეუწყა მკითხველ საზოგადოებას. ბ-ნ დუნდუას მე შევპირდი მხოლოთ ის, რომ შემოწირულება გამოცხადდება გაზ. «სხივში», რომელიც იმავე წლის დეკემბრის პირველ რიცხვებში უნდა გამოსულიყო. რომ ბ. დუნდუას შემოწირულება ჩემთვის ოც ნოემბრამდე გადმოეცა, ეს უეჭველათ „მოგზაურში" იქნებოდა გამოცხადებული, ეს მტკიცდება იმ გარემოებით, რომ „მოგზაურის" 1905 წლის უკანასკნელ ნომერში შემდეგ შემომწირველთა სიები შედგენისა (№ 41) ასე სწერია: „გურულების სასარგებლოდ სულ შენგან წინეთ მიღებულთან ერთათ 214 მან. და 50 კაპ. (გვ. 655—56). აშკარაა, 20 ნოემბრამდე რომ გადმოეცა მას ჩემთვის შემოწირუ-

---

კუთარი და განსხვავებული თვისებები ჰქონდა და ამიტომ საჭირო იყო გრძნობა, რომ ამ განსაკუთრებულ თვისებების არსებობა გაემართლებინა.

საქართველოს პოლიტიკურს და კულტურულ აღორძინებისათვის საბერძნეთს შურის თვალით უნდა შეეხედნა, და მათ შორის შეტაკება უნდა მომხდარიყო, რაც ნამდვილად მოხდა. მეცხრე და მეათე საუკუნოებში ქართული მონასტრები გამრავლდა აღმოსავლეთში სინას მთაზე, პალესტინაში, სირიაში, კვიპროსზე, ათონზე, შავ-მთაზე ანტიოქიის მახლობლად და სხვაგან. ყველაზე მეტი მნიშვნელობა ათონის მონასტერსა ჰქონდა. პირველად ჰხვდებოდნენ ერთმანეთს ქართველი და ბერძენი ბერები; ქართველები ბერძნებს მოწიწებით ექცეოდნენ და თაყვანსა სცემდნენ და ბაძავდნენ. მაგრამ როცა ბერძნები ახლო გაიცნეს, აზრი სრულებით გამოიცვალეს. მაშინ ნათლად გამოჩნდა ქართველ და ბერძენ ბერების განსხვავება. დაიწყო უთანხმოება ბერებს შორის აღმოსავლეთში. ბევრჯელ მომხდარა, რომ ბერძენი ბერები დასცემიან ქართველ მონასტრებს, გაუძარცვავთ, დაურბევიათ და შიგ თავიანთი პოლიციაც შეუყვანიათ. უთანხმოება იმდენად გამწვავდა, რომ ქართველმა ბერებმა დაადგინეს, თავიანთ მონასტრებში ბერძნები არ შეეშვათ. არის ერთი ბერძნულად დაწერილი წიგნი, პეტრიწონის ტიპიკონი, სადაც სწერია, რომ ქართველ მონასტრებში ბერძენი ბერები არამც და არამც არ უნდა შემოვიდნენო. გამონაკლისს შეადგენდნენ მწიგნობრები—წიგნის გადამწერები, რომელნიც ქართველებს ძლიერ ესაჭიროებოდათ, რადგან ბერძნული წერა ბევრმა ქართველმა არ იცოდა. ამნაირი სიძულვილი ბერძენთადმი აიხსნება მხოლოდ იმ დევნით, რომელსაც განიცდიდა ქართველი ბერობა ბერძნებისაგან. ათონის მთა სამჯერ გასძარცვეს ბერძნების ბერებმა, თვალ-მარგალიტი და სხვა ძვირფასეულება ერთიანად გაიტაცეს. მონასტრის მაჭასახლისი დაიჭირეს, სცემეს და შორეულ ქვეყანაში გადაასახლეს. ასეთივე შემთხვევა იყო შავი მთის მონასტერში და სხვაგანაც. საქართველოს წარმატებამ იმდენად შურით აღავსო ბერძნები, რომ მოინდომეს საქართველოს ეკკლესიის თვითმართველობის, ავტოკეფალიის, ჩამორთმევა. ამისათვის სხვა და სხვა ხრიკს მიჰმართეს. სხვათა შორის ანტიოქიის პატრიარქი ჩაებღაუჭა იმ ფაქტს, რომ საქართველოში მოციქულთაგანს არავის არ უქადაგნია ქრისტეს სჯული და ამბობდა, ქართველებს საკუთარი ეკკლესია არ უნდა ჰქონდეთო. ნამდვილად ცნობილია, რომ საეკკლესიო კანონით ამა თუ იმ ეკკლესიის დამოუკიდებლობისთვის სრულიადაც საჭირო არ იყო ამა თუ იმ მოციქულის ქადაგება. მაგრამ მეთერთმეტე საუკუნეში ზოგან ამგვარი შეხედულება გავრცელდა და ამით ისარგებლა ანტიოქიის პატრიარქმა, რომ ქართველებისათვის შარი მოედო. ჩვენამდის მოახწია უტყუარმა საბუთმა, გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების აღწერამ, სადაც მოთხრობილია, თუ როგორის მჭერმეტყველობით და საქმის ცოდნით დაარღვია ეს ბრალდება გიორგი მთაწმინდელმა, როცა მას პირადათ პატრიარქთან მოუხდა ამ საგანზე მსჯელობა. სხვა რომ ვერაფერს გახდნენ, ბერძნებმა ქართველების მწვალებლებლად გამოცხადება განიზრახეს, თუ კი არ დაემორჩილებოდნენ.

ამ გარემოებამ ქართულ კულტურას ფრიად დიდი სარგებლობა მოუტანა, ბერძენთა სურვილის წინააღმდეგ, რასაკვირველია. ბერძენთა ასეთმა ლტოლვილებამ ქართველები დააფაცურა და ხელი გამოაღებინა. ჯერ გადაიკითხეს სულ ერთიან წიგნები, რაც-კი დაწერილიყო ქართულსა და ბერძნულ ენებზე. თუ ქართულ წიგნებში რამე შეცდომა იყო, შეასწორეს და ხელ ახლა გადასწერეს. დაუწყეს ძებნა საქართველოს ეკკლესიის დამოუკიდებლობის საბუთებს შავ-მთასა და აღმოსავლეთის სხვა მონასტრებში. იპოვნეს კიდეც ეფრემ მცირეს შესანიშნავი გამოკვლევა საქართველოში ქრისტიანობის დამკვიდრების შესახებ. ქართველებმა მიზნად დაისახეს გადმოეთარგმნათ ყველა წიგნები, რომ ბერძნებს არაფერში არ ჩამორჩენოდნენ. დაიწყო ცხარე მუშაობა. ქართულ მონასტრებში, საზოგადოდ ღამე სანთლის ანთების ნება არა ჰქონდათ, მაგრამ წიგნების გადამწერთათვის წესი დაარღვიეს. ბევრი წიგნია დღემდე დაცული, სადაც დამწერი ან გადამწერი ამბობს, დღისით მოცლა არა მქონდა და ეს წიგნი ღამე დავწერეო. წიგნი იწერებოდა რამდენიმე ცალი და იგზავნებოდა საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში. გამოჩნდნენ შესანიშნავი მწიგნობარნი: ევთიმე, იოანე პეტრიწონელი, გიორგი ხანძთელის ცხოვრების დამწერი უცნობი ავტორი და ბევრიც სხვა, რომელნიც თავიანთის ნიჭით, მომზადებით, საქმის ცოდნით და შრომის მოყვარეობით ყველა ერის ისტორიას დაამშვენებენ.

ქართველებმა მიახწიეს მიზანს და ბერძნებს არაფერში ჩამორჩნენ, თუ არ გადააჭარბეს კიდეც. ამ ხანში საქართველოს ყველა კუთხის მკვიდრნი ისე მჭიდროდ იყვნენ შეკავშირებულნი, ისე იყვნენ გამსჭვალულნი საერთოდ საქართველოს გადიდების სურვილით, რომ ხსენება არც-კი იყო არავითარ იმერლობა-ამერლობისა და სხვა ამის მზგავსს რისამე, რომელიც ჩვენდა სამარცხვინოდ, დღესაც სავსებით არ გამქრალა. საქართველოდან სამი ათას ვერსით მოშორებულს, სადღაც სინას ხრიოკ მთაზე გადახვეწულ ქართველს, რომელსაც კულტურულ შრომისა და ხასიათის განმტკიცებისათვის უარ-ეყო ცოლ-შვილი, მტერ-მოყვარე, საკუთარი მიწა-წყალი, იქ, იმ უდაბნოში, სხვა არა ახსოვდა რა, გარდა საქართველოსი. სინას მთაზე მოიპოვება ერთი ქართული ლოცვანი, სადაც სწერია შემდეგი კვერექსი: „საქართველოს სამეფოს გაძლიერებისათვის, საზღვრების, განმტკიცებისათვის, ერისთავთა დაწყნარებისათვის უფლისა მიმართ ვილოცოთ"ო. ამას კომენტარიები არ ეჭირება და ცხადიცაა, თუ რა როლს თამაშობდა მაშინდელი სამღვდელოება და განსაკუთრებით ბერობა, თუ რამდენად თავ-განწირული, უანგარო და ნაყოფიერი იყო მისი კულტურის ასამაღლებლად და განსადიდებლად. იმ ხანაში ქართველების სამშობლოს სიყვარულმა და პატრიოტობამ თითქმის წრეს გადააჭარბა. ევთიმეს მამა, იოანე იმდენად გაიტაცა საქართველოს სიყვარულმა და იმისი გადიდების სურვილმა, რომ განიზრახა ახალი, იდეალური, ყოვლადფრით უნაკლულო საქართველოს მოძებნა. იოანეს არ აკმაყოფილებდა ნამდვილი საქართველო. იმისი წარმოდგენით, საქართველო ზნეობით სპეტაკი, უნაკლულო, ანგელოზთა მსგავსი უნდა ყოფილიყო. მას გაეგონა, რომ შორს, ესპანიაში, არის ერთი ქვეყანა, რომელსაც ივერია ჰქვიანო. იოანე მართლაც გაემგზავრა, იქ უკეთესი ქართველები იქნებიანო.

ამნაირად, უცხოელებთან შეტაკებამ ქართველების ეროვნული გრძნობა გამოაღვიძა, მჭიდროდ შეაერთა და თვით შემეცნება უმაღლეს წერტილამდე აიყვანა. მაშინ ქართველები იმდენად ზურგ გამაგრებულნი იყვნენ, რომ თავიანთ თავს ყველა ქრისტიანების მფარველად სთვლიდნენ. ევთიმემ, იოანე პეტრიწონელმა, ეფრემ მცირემ და სხვებმა იმდენად შეიმუშავეს საისტორიო მწერლობა, ისეთი მეცნიერული ხასიათი მისცეს მას, რომ დღეს მეცნიერი მათის ნაწარმოებთა გაცნობით განცვიფრებაში მოვა; მათი შრომა იმ სამეცნიერო შედარებითის მეთოდებით არის შემუშავებული, როგორითაც დღევანდელი მეცნიერება ხელმძღვანელობს. საჭიროა კაცმა გაიცნოს ათონის დაარსების ისტორია, რომ დარწმუნდეს, თუ რამდენად განვითარებული იყო ქართული ისტორია და წერა ზემოაღნიშნულ ხანაში. თუ რა მაღლა იდგა ამ დროს ქართული კულტურა, ამისი ცხადი საბუთია ის, რომ მეთორმეტე საუკუნეში, თამარ მეფის დროს, საქართველოში სიკვდილით დასჯა კანონით იყო აკრძალული.

ლება, ამის გამოუცხადებლობა „მოგზაურ-ში“ მე არა გზით არ შემეძლო. გაზ. „სხივის“. გამოსვლამდე „მოგზაურის“ შეწყვეტის შემდეგ გავიდა ნახევარ თვეზე მეტი. ამ ხნის განმავლობაში „მოგზაურის“ რედაქციამ კიდევ მიიღო სხვა შემოწირულებაც ზემოხსენებულ მიზნისათვის, მაგ., ბორჯომში შეგროვილი, ყველა ეს სიები გადაეცა „სხივის“ რედაქციას დასაბეჭდათ. მაგრამ იმ მოუსვენარ და შფოთიან დროს რედაქციამ ვერ მოასწრო ამ-ების დაბეჭდვა, ისე დალია სული მეც ერთხანს მოშორებული ვიყავი ჩვეულებრივ მოქმედებას, და ამის გამო, ჩემდა სამწუხაროთ შემოწირულების გამოქვეყნება არ მოხდა. ვინ ედება ამაში ბრალი, ეს საზოგადოებამ განსაჯოს.

რაც შეეხება ფული—240 მანეთს, თანახმა ვარ ბ. უნდუას სურვილისა, იგი მე ორ ნაწილათ გავყავი: ერთი ნაწილი—120 მან. შევუერთე იმ თანხას, რომელიც გურულებისთვის იყო დანიშნული, და იმავე წლის დეკემბრის თვეში გავზავნა კნ. ნ. ნაკაშიძეს, რამდენადაც მე მახსოვს, სულ 640 მანეთამდე იყო. ხსენებული შემოწირულების მეორე ნაწილი—120 მანეთ ახლა კარგად არ მახსოვს სახელდობ ვის გადავეცი, რომ დაზარალებულ ქართლელებს მოეხმარებოდა. ამის შემდეგ თითქმის ორი წელიწადი გადის და ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ გამოვცადეთ და კერძოთ მეც ბევრი რამ გადამხდა თავზე. ამ ჟამათ ავადმყოფობის გამო არ შემიძლია მოვიგონო ან ამხანაგებს გამოვკითხო ამის შესახებ რამე. მე მხოლოდ გულახდილათ შემიძლია დავარწმუნო საზოგადოება, რომ ეს ფული დანიშნულებისამებრ გადაეცა. ყოველ შემთხვევაში, რადგანაც საქმე აქამდის მივიდა, ვეცდები ესეც გავიგო და გაზეთის საშუალებით საზოგადოებას ვაუწყო.

**ფ. მახარაძე.**

—

(ტფ. ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა კორპორაციების საყურადღებოდ).

ამ ჟამად ქალაქში სცხოვრობს ბოგანო, ყოფილი მასწავლებელი ესტატე ლომიძე, რომელიც ცოლ-შვილით არის დატვირთული. მასთან ორი წელია, რაც იგი უადგილოდ იმყოფება, რის გამოც დიდ გაჭირვება-სიდუხჭირეს ითმენს ცოლშვილითურთ. მისი ცდა ადგილის შოვნის შესახებ სულ ამაოა; არც იღბალი სწყალობს. ვისთანაა რომ ქაღალდი არა ჰქონდეს შეტანილი! სხვათა შორის აგერ მეორე წელიწადია, რაც მისცა მან ქაღალდი ადგილის შესახებ ქალაქის თავს ვ. ნ. ჩერქეზიშვილს, წევრებს ნ. გ. არღუტინსკის, ა. ი. ხატისოვს, მასთან სავაჭრო-სამრეწველო მოსამსახურეთა კორპორაციას და სხ. მაგრამ სულ ერთი და იგივე სიტყვები ესმის: ჯერ მოიცა და მოიცა—ანუ ჯერ სხვასა და მერე შენ. ბოლოს, ეს მშიერი მუშაკი იქნობამდის მოიცდის, რომ შიმშილისაგან კუჭი შეახმება. ალბად მაშინ თუ ეღირსება დანაპირევი ადგილი, მაგრამ მაშინ მოწყალება გვიანღა იქნება. საჭიროა, ვისაც კი თავი ნამდვილ ადამიანად მოაქვს და მშიერბოგანოს შემბრალებლად ითვლება, ამათთან ერთად ქალაქის მართველობამ და მათმა მოსამსახურეთა კორპორაციებმაც სამსახური რამ უნდა გამოუნახონ ხსენებულ პირსა და მით გადაანარჩუნონ იგი შიმშილით სიკვდილისაგან.

**ი ვ შალამიძე.**

# დეპეშა

პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

27 ივნისი

**რუსეთში.**

**ორიოლი.** კარაჩევიდან 6 ვერსის მანძილზე სამი ბოროტ-მოქმედი თავს-დაესხა ოდრინსკის მონასტრის წინამძღვარს. უცნობებს გამოუდგნენ. ორი მათგანი მოჰკლეს, მესამე შეიპყრეს. წაართვეს იარაღი და ყუმბარა.

**ვარშავა.** ქუტნი ქუჩაზე მძიმედ დასჭრეს ჟეინკალი. დაიჭრა აგრეთვე ორი შემთხვევით მიმავალი.

**კიევი.** გრაფ ბრანიცკის მამულში გლეხებმა ყანა საქონელს მოაძოვებინეს. მოვიდა მაზრის უფროსი ცხენოსან სტრაჟნიკებით. გლეხებმა იმასაც წინააღმდეგობა გაუწიეს. დაიჭრა ორი სტრაჟნიკი. ცხენოსნებმა ბრბო გაფანტეს. წეს-რიგი აღდგენილია.

**პეტერბურგი.** ნევის პროსპექტზე გაძარცვეს გაუს ოქრო-ბრილიანტების მაღაზია. წაიღეს 50,000 მანეთის ნივთები.

**სარატოვი.** ცარიცინში კინემოტოგრაფის წარმოდგენაზე სასიკვდილოდ დასჭრეს ბოქაულის თანაშემწე არატოვსკი.

**მოსკოვი.** რიაზანის ქუჩის კუთხეში 9 შეიარაღებული კაცი მეარტელის თავდასხმას აპირებდა. პოლიციას ადრევე შეეტყო და ჩასაფრებოდა. როცა უცნობნი მეარტელეს მივარდნენ, პოლიციელებმა სროლა ასტეხეს და ოთხი მძიმედ დასჭრეს, ერთი მიიმალა. მეთაური სერიკოვი გამოტყდა, რომ ფული სარევოლიუციოდ გვინდოდათ. დაპატიმრებულთ აღმოაჩნდათ ორი ყუმბარა, 8 რევოლვერი და ხანჯლები.

**ვარშავა.** ფილტროვის სადგურზე მოჰკლეს ქალაქის ინჟინერი შიმანსკი.

**პსკოვი.** ოსტროვსის მაზრის სიგორიცის სასაფლაოს მახლობლად იარმუკაზე გაიტაცეს 20,000 მანეთის საქონელი. პოლიციას წინააღმდეგობა გაუწიეს. დასჭრეს ქვით მაზრის უფროსი, დაშავდა მღვდელი.

**კიევი.** უმანში პოლოსსკის ქალის სახლში ყუმბარამ იფეთქა, რომელიც უცაბედად გაუვარდა პოლოსსკის 18 წლის ვაჟს. ვაჟი დაიჭრა. პოლოსსკის ქალი ებრაელია.

**რიგა.** აშერადინის ვოლოსტში სახლკარის პატრონი ლირევი შვილითურთ ტყეში სეირნობდა. ლირევს ესროლეს და მოჰკლეს. მკვლელებმა აიძულეს შვილი შინ წაყოლოდა და ფული მიეცა. წავიდნენ, მაგრამ სახლში ფული არ აღმოჩნდა.

**ლოძი.** ოზორკოვიდან იუწყებიან, რომ ერთი თვის გაფიცვის შემდეგ შლესსერის დიდ მანუფაქტურაში ყველა ნაწილში მუშაობა განახლდა. მუშების მოთხოვნილება არ დააკმაყოფილეს. მუშები ხელფასის მომატებას თხოულობდნენ.

**ტომსკი.** ბარნაულის მახლობლად გაძარცვეს საარყე დუქნების ფულის ამკრეფი სტრაჟნიკი, ამკრეფი და მეეტლე დასჭრეს ფული უკლებადაა.

**ელისავეტგრადი.** პოლიციას აცნობეს, ანარქისტთა ჯგუფი მოვიდაო. სამ ალაგას ჩაუსაფრდნენ, მაგრამ უნაყოფოდ. მეორე დღეს პეტროვსკის ქუჩის კუთხეში ორმა პოლიციელმა ორი მათგანი იცნო და დაპატიმრება მოუნდომა, მაგრამ უცნობებმა 30 ჯერ ისროლეს და გაიქცნენ. ერთი მათგანი ხმლით დაიჭრა და დააპატიმრეს. მან განაცხადა: აკერმანის მცხოვრები ვარო.

**სიმფეროპოლი.** შტაკელბერგის მამულში დაიჭირეს ერთი გამოქცეული პოლიტიკური დამნაშავე. ხუტორი გაჩხრიკეს და იპოვნეს ორი ყუმბარა, თოფწამალი და პატრონები.

**მოსკოვი.** გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით დაიკეტა განათლების ლიგის პროვინციალური განყოფილებანი. ლიგის საოლქო ნაწილი უფრო ადრე დაიკეტა.

**უცხოეთში.**

**ბერლინი.** როტტერდამიდან იუწყებიან: ნავთსადგურს იცავს ორი გემი. ნაპირის ქუჩაზე ცადიან. დასატვირთ გემებზე გაგზავნეს პოლიციელები. ქალაქის თავმა აღკრძალა ხუთ კაცზე მეტის ერთად შეკრება.

**დრეზდენი.** გამოსცეს ახალი კანონი ახალ საარჩევნო წესის შესახებ. ლანდტაგში 87 დეპუტატი იქმნება. აქედან 42 დეპუტატი არჩეული იქნება პირდაპირის, ფარულის და პროპორციონალურის ხმით, 40 აირჩევენ საზოგადოებანი და დაწესებულებანი. პასსიური საარჩევნო ხმა ექმნება პირდაპირის გადასახადის გადამხდელთ. დეპუტატი 30 წლისაზე უმცროსი არ უნდა იყოს. დეპუტატებს აირჩევენ 6 წლით.

**ვენა.** ბოსნიასა და ჰერცოგოვინის გამგედ გენერალი ვინზორი დაინიშნა. ვინზორი 15 კორპუსისა და სარაევის გარნიზოვის უფროსადაც არის.

**პეკინი.** გენ.-გუბერნატორი დაუნხანი თავის ჯარით გაემგზავრა აიაცზინისკენ. ჯერ გამორკვეული არ არის ანხოის გუბერნატორის მოკვლას რევოლიუციონური ხასიათი აქვს, თუ პირად შურის ძიების შედეგია.

**ბუდაპეშტი.** მეფის რესკრიპტით ხორვატიის სეიმის სესია გადიდო.

**ვენა.** დეპუტატთა პალატამ სასწრაფოდ არა სცნო ს.-დემოკრატების მიერ შეტანილი წინადადება ავსტრიის სეიმებში საყოველთაო საარჩევნო წესის შემოღების შესახებ.

**შანხაი.** გამოირკვა, რომ ანხოის გუბერნატორი მოუკლავს იმ სკოლის დირექტორს, რომლის დასათვალიერებლად გუბერნატორი მისულა. მკვლელი დინასტიის მოწინააღმდეგეთა ჯგუფს ეკუთნის. მკვლელი სიკვდილით დასაჯეს. მეფის მოადგილემ გაგზავნა 3000 კაცისაგან შემდგარი ჯარი და ორი კრეისერი. პროვინციაში ჯერ-ჯერობით სიწყნარეა.

რედაქტორ-გამომცემელი
**ე. ავალიშვილი.**


# განცხადებანი

საზაფხულო საბუჰალტერო
## კურსები

**ივ. ბაზ. ტერ სტეფანოვისა** (დაარსებული აქვს ს. პეტერბურგის უმაღლესი საკომერციო კურსები) **მეპატრონეთა, ნოქართა,** მოსამსახურეთა და სხვათათვის, ისეთ დროზე, როცა ისინი თავისუფალნი არიან.

კურსები გაიხსნება პირველ ივლისიდან ფასი ზომიერია შეთანხმებით. ჩამორჩენილთ უფასოდ ასწავლიან შემოდგომაზე. ორივე სქესის მოწაფეებს მიიღებენ. კუკია, 1 თუმანოვის ქუჩა, საკ. სახ. № 13. (1—185—1)

პირველი კერძო სამკურნალო
## დოქ. ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წ.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
**ყოველ დღე, კვირეებს გარდა.**
**ექიმები:**

**ზ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

**გ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ფ. ი. ზაზანაშვილი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.

**მ. გ. ავეტიზიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**გ. ი. გეღუიშვილი:** 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგანი და საბავშვო.

**ა. ი. შჩერბინინა:** 1½—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**გ. ი. გურგენოვი;** .—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი** (150—ხალ.—103)



1—2 მან. აიღებს მსურველი დღეში.

## საჭიროა

**თანამშრომელნი ორისა ვე სქესისა**

საქსოვ სამუშაოსთვის ჩვენ მსწრაფლ-მქსოველ მანქანებზე. რისამე წინდაწინვე ცოდნა საჭირო არ არის. მანძილს მნიშვნელობა არა აქვს. საქონელს ჩვენ თვითონ ვყიდით. პირობებს უფასოდ უგზავნით.

**პირველი კავკას. ამხანაგობა**

მსწრაფლ-მქსოვ მაშინებისა შინაურ წარმოებისთვის.

ადრესი: Тифлисъ, Верійскій спускъ д. 15 и 5. (100—71—41)

სეზონის საქონელზე ფასები დაკლებულია
## იაროსლავის მაღაზია
გოლოვინის პროსპექტზე, სახაზინო თეატრის მახლობლად, „ბოიარსკი“ სასტუმროს პირდაპირ, სტეფანოვის სახლში.
# იყიდება
## საზაფხულო ქსოვილები
კისეი ფერადი არშინი **16** კაპეიკიდან დაწყებული
ბატისტი ფერადი **24** კაპ. არშინი
სარატოვის სარპინკა **4** კაპ. არშ.
აბრეშუმისეულ სატინა **23** კაპ. არშ.

მოქსოვილი საზაფხულო ფერადი საბნები, თითო ორ მანეთიდან დაწყებული. ასეთივე საბნები პარიზული—2 მან. 75 კ. და აუარებელი სხვა და სხვა საქონელი ტილოსი, ქაღალდისა, შალისა, შეკერილ ტანისამოსი მამაკაცებისა, ქალებისა და ბავშვებისა, ჩულქები და წინდები. საარაკო იაფობაა.
(1—183—1) **პ. დოროჟნოვი.**

**კურსები კავკასიაში.**

**ერთად ერთი**

**ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს განკარგულებაში მყოფი**
ბუხჰალტერიისა და საკანცელარიო ცოდნის კურსები
## გ. ა. პირაპოზოვისა
(ბათუმი, მორსკაია № 11)

ამ კურსებზე ორისავე სქესის მოსწავლენი იძენენ საკომერციო მეცნიერების საგანთა სრულ სპეციალურ ცოდნას. კურსებზე ასწავლიან: ბუხჰალტერიას: სამმაგ და ორმანგიტალ., სარკინისგზო ანგარიშს და საკითს საქონლის გადატან-გადმოტანის შესახებ, საკომერციო არითმეტიკას, საკომ. ეკონომიას, საკომ. კორესპონდენციას, საკომ. კანონთ ცოდნას, საკომ. გეოგრაფიას და ისტორიას, არითმეტიკას ჩოთქზე, კალიგრაფიას, სტენოგრაფიას და წერას მაშინაზე.

კურსებთან არის: მცირედ მომზადებულთათვის კურსები რუსულ ენისა, არითმეტიკისა და სხ., კურსები უცხო ენებისა და ხელმისაწვდენი პანსიონი. სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდან. ცნობები და პროგრამა კურსებისა—უფასოდ. მსურველთა და თხოვნების მიღება ყოველ დღე 8—1 ს. და 4—7 ს. კურსების კანცელარიაში განზრახულია უმაღლესი საკომერციო კურსები. (10—124—6)

**რუსულ თვით-შემმოწმებულ ბუხჰალტერიის სისტემის პროგრამით**

## ნამდვილი კახური ღვინო

ТОВАРИЩЕСТВО КАХЕТИНСКИХЪ ВИНОГРАДАРЕЙ
„Дзмоба“ „ძმობა“
ამხანაგობა
въ ТИФЛИСЪ
Телефонъ № 1036.

ფასები ყველასათვის ხელმისაწვდენი. (100—72)



# ფეხსაცმელი

პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

შეკერილი, რანტიანი და ვინტებზე. მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი ყოველ ფასონისა.

**რანტიანი:** პარიზისა (მოგრძო) და ამერიკის ფასონებისა.

**იყიდება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის მაღაზიებში.**

რადგან ხშირად სხვები თავიანთ ცუდ საქონელს ჩვენად აღიარებენ, ფაბრიკა უმორჩილესად სთხოვს ბ-ნთ მყიდველებს ყურადღება მიაქციონ ფაბრიკის ნიშანს და სახელმწიფო გერბს (არწივს)

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО С.ПЕТЕРБУРГЪ

ნაღდად შეკვეთილ ამ ფეხსაცმელს ამზადებს
## სავაჭრო სახლი
## „ლეოპოლდ ნეიშელლერი“
ტელეფონი № 346, **ტფილისში,** ერევნის მოედანი,
**რომლის საწყობშიაც არის დიდი ძალი**
**ტყავის საქონელი** რუსეთისა და საზღვარ-გარედ დამზადებული. (100—37)